საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანაში მე-6 საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ქვეყნის მოქალაქეები ზვიად გამსახურდიას (1 ვადა), ედუარდ შევარდნაძის (2 ვადა), მიხეილ სააკაშვილის (2 ვადა) შემდეგ მე-4 პრეზიდენტს ირჩევენ.
მიმდინარე არჩევნებზე 23 კანდიდატი და 3.537.719 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. ისინი 84 საარჩევნო ოლქის 3.689 საარჩევნო უბნებზე მისცემენ ხმას.
ცესკოს ინფორმაციით, არჩევნებს 60 ადგილობრივი და 65 საერთაშორისო ორგანიზაციის 20.987 წარმომადგენელი აკვირდება.
არჩევნების მსვლელობას 152 (მათგან 84 უცხოური) მედიასაშუალების 1.381 თანამშრომელი აშუქებს.